საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №5/04
2017 წლის 18 იანვარი

ქ. თბილისი

კომერციული ბანკების მიერ 100 000 ლარამდე საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 64^1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

კომერციული ბანკები უფლებამოსილნი არიან ფიზიკურ პირზე 100 000 (ასი ათას) ლარამდე საბანკო კრედიტები გასცენ უცხოური ვალუტით, თუ საბანკო კრედიტის გაცემა ხორციელდება საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირზე.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 20 იანვრიდან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**